საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ იოსებ ხარებავას

ამავე კომისიის მაუწყებლობის რეგულირების
დეპარტამენტის უფროსის ივანე მახარაძის

# ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი  ბ ა რ ა თ ი

ბატონო იოსებ,

თქვენი 2015 წლის 17 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (N№–10/3974–15) პასუხად, გაცნობებთ, რომ დეპარტამენტის მიერ შესწავლილ იქნა შპს „რადიო არტის" მოთხოვნა კომპანიის კუთვნილი NB52 ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს – ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან **მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში** ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა; **ბ)** კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის **დასაბუთებული მოთხოვნა** ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე;

"ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილების შესაბამისად, თბილისი, მდებარეობს N259 სამაუწყებლო ზონაში. „საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ" კომისიის 2013 წლის N612/22 გადაწყვეტილების შესაბამისად, N259 სამაუწყებლო ზონაში რადიომაუწყებლობის პრიორიტეტები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. სათემო რადიომაუწყებლობა;
2. საერთო რადიომაუწყებლობა;
3. სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა;

გამომდინარე იქიდან, რომ დღეს მოქმედი რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების შესაბამისად, თბილისში – (ზონა N259) საერთო რადიომაუწყებლობა უფრო პრიორიტეტულია ვიდრე სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა, დეპარტამენტის აზრით ლიცენზიის მოდიფიცირება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45–ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის.

რაც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45–ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე ლიცენზიის მოდიფიცირების საკითხს, დეპარტამენტს

N10/4002-15
18.06.15
2+2

მიაჩნია, რომ კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილი განცხადება შეიცავს დასაბუთებულ მოთხოვნას და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პატივისცემით,

ივანე მახარაძე
18.06.15

კომისიის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის
უფროსს ბ-ნ ი. მახარაძეს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის
ი. ხარებავას

# ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი  ბ ა რ ა თ ი

ბატონო ივანე,

კომისიაში შემოსულია შპს "რადიო არტის" წერილი რადიომაუწყებლობის №B52 ლიცენზიით ქ. თბილისში განსაზღვრულ ერთ-ერთ სიხშირეზე (97.5 მჰც) მაუწყებლობის ქვესახეობის შეცვლის თაობაზე. კერძოდ კომპანიას აღნიშნულ სიხშირეზე სურს განახორციელოს სპეციალიზებული (გასართობი) მაუწყებლობა, ნაცვლად საერთო მაუწყებლობისა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი დასკვნა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: შპს "რადიო არტის" წერილის ასლი (№შ-7/3794-15, 10/06/2015) – 1 ფურც.

პატივისცემით,

ი. ხარებავა

17.06.15

№10/3974-15
17 06 15
1+1

ბ-ნ ბ. ხარებავას

[redacted]

გთხოვთ: განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოთ საქმის წარმოება


შპს "რადიო არტი"

ლიკოშვილის ქ.№1, 0179, თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 97 97 09 07


[redacted]

ბ. აბაშიძე
10.06.2015წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ, ვახტანგ აბაშიძეს

შ.პ.ს. „რადიო არტი"-ს დირექტორის

ქეთევან ძებისაშვილის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ თხოვნით მოახდინოთ შ.პ.ს. „რადიო არტი"-ს (ს/კ :203845054) მფლობელობაში არსებული კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზია #852 -ით გაცემული სიხშირის FM97.5 (სახელწოდებით Jazz FM) მოდიფიცირება და შესაბამისად აღნიშნულ სიხშირეზე არსებული საერთო მაუწყებლობის ლიცენზია შეცვალოთ გასართობი მაუწყებლობის ლიცენზიით.

აქვე განვმარტავთ, რომ როგორც მოგეხსენებათ, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელს კანონმდებლობით დაკისრებული აქვს ვალდებულება განათავსოს ეთერში საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები, რაც ჩვენი რადიოარხის სტრატეგიას, შინაარსა თუ კონცეფციას სრულებით არ შეესაბამება, ვინაიდან მისი სახელიდან გამომდინარე - Jazz FM, აღნიშნულ არხზე თავსდება ჯაზთან და არა მხოლოდ მასთან, ასევე ზოგადად მუსიკასთან, ხელოვნებასთან დაკავშირებული პროგრამები. აღნიშნულ არხს მუსიკალური-გასართობი დანიშნულება აქვს და შესაბამისად საზ. პოლიტიკური თოქ შოუები თუ საინფორმაციო გამოშვებები ასეთი ფორმატის არხისთვის შეუსაბამო და ზედმეტია. აღნიშნული მოსაზრება გაგვიჩნდა არამხოლოდ ჩვენ - ადმინისტრაციას, არამედ ჩვენს მსმენელსაც, ვინაიდან ჩატარებული არაერთი სატელეფონო, ზეპირი თუ სხვადასხვა ფორმატის გამოკითხვებით გამოვლინდა, რომ მსმენელის აზრითაც სრულიად შეუსაბამო და არამიზანშეწონილია საინფორმაციო გამოშვებისა თუ პოლიტიკური გადაცემების სმენა იმ პროგრამებთან ერთად რომლებიც ძირითადად დატვირთულია ჩვენი რადიოარხი. ჩვენი მსმენელი შესაძლებელია ასეთ ჭრილში ფაქტიურად გამოგვეთიშოს, რაც თავის მხრივ ჩვენს რეიტინგზე და შესაბამისად ფინანსურ მდგომარეობაზე მკვეთრად უარყოფითად იმოქმედებს.

თბილისი, 10 ივნისი 2015 წელი

პატივისცემით,

ქეთევან ძებისაშვილი

დირექტორი

GEORGIA TBILISI "RADIO ART" LTD
საქართველო
შპს
"რადიო არტი"
თბილისი
საქართველო

ბ-4/3794-15
10.06.15